KA030167658507820

№ 01-10301 **02 / ოქტომბერი / 2020 წ.**

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

როგორც მოგეხსენებათ, 31 აგვისტოს, სამინისტროს მხრიდან ხელი მოეწერა COVAX ფონდის მიერ მოწოდებულ სტანდარტულ წერილს ფონდში ჩართულობის თაობაზე, რომელიც ასევე ითვალისწინებდა შესყიდვის მოდელის წინასწარ არჩევას. როგორც თქვენთვის ცნობილია, შერჩეულ იქნა არჩევითი შესყიდვის მოდელი (Optional Purchase) მისი მოქნილობის გამო. ხოლო მოსახლეობის მოცვის სავარაუდო მაჩვენებად შეირჩა 20% (მოსახლეობის რაოდენობაზე გადაანგარიშებით, 1,484,400 დოზა).

18 სექტემბერს, საქართველოს მთავრობასა და ვაქცინების გლობალურ ალიანსს (GAVI ALLIANCE) შორის ხელი მოეწერა ვალდებულებების შეთანხმებას (Commitment Agreement), რომელიც მოიცავს ინფორმაციას ქვეყნის ვალდებულებების და ვადების შესახებ. აღნიშნული შეთანხმება მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის 15 სექტემბრის N1783 განკარგულებით, რომლის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიბიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა შეთანხმების შესრულების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ორმხრივი ვალდებულებების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 9 ოქტომბრამდე, ქვეყანა წინასწარ იხდის ვაქცინის ღირებულების ე.წ. წინასწარ გადასახადს 3,10 აშშდოლარს 1 დოზაზე, ანუ 4,601,640 აშშ დოლარს და რისკის გაზიარების გარანტიის თანხას (0.4 აშშ დოლარი/დოზაზე) 593,760 აშშ დოლარს. 9 ოქტომბრამდე ქვეყნის მიერ სულ გადასახდელი თანხა შეადგენს 5,195,400 აშშ დოლარს.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრება მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

გიორგი ჭავჭავაძე